



ჰალიმე ქარაგულუთი



ჩემს ოჯახში სხოვრობს
შეზღუდული შესაძლებლობების
მქონე პირი





მოწყაღე და მწყაღობელი ღმერთის სახელით



muslim georgia



დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა

აუთანდილ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი

ბილალ ილკაი



საერთაშორისო საქველმოქმედი ფონდი

وقف تضامن وادع المسلمو جورجا

muslim GEORGIA ULUSLARARASI YARDIMLAŞMA VAKFI



www.muslimgeorgia.org



info@muslimgeorgia.org



[muslim.georgia.18](https://www.facebook.com/muslim.georgia.18)



[muslim.georgia.54](https://www.facebook.com/muslim.georgia.54)



[georgiaquran](https://twitter.com/georgiaquran)



[muslim_georgia](https://twitter.com/muslim_georgia)



[muslimgeorgiaquran](https://www.instagram.com/muslimgeorgiaquran)



[muslimgeorgia](https://www.instagram.com/muslimgeorgia)



ჩემს ოჯახში ცხოვრობს ზეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი



ჰალივა ქაჩაგელაძე



ჩვენი საყვარელი შუამავალი ასწავლიდა მის მეგობრებს, რომ ეკეთებინათ სიკეთე, გაეცათ მოწყალება. ის ამბობდა, რომ ალლაჰის მიერ თავისი მსახურებისთვის მიცემული ჯანმრთელობისთვის, რომელიც ყველაზე ძვირფასი სარჩოა, მეტიც, ადამიანის სხეულში არსებული ყველა ორგანოსთვის საჭირო იყო მოწყალების გაცემა. მისი მიმდევარი მეგობრები ცოტა გააკვირვებულნი და შეწუხებულნი იყვნენ. ისინი არც ისე მდიდრები იყვნენ! მათ მწუხარების ენით აღიარეს: „ჰეი ალლაჰის ელჩო! ჩვენ არ გვაქვს ქონება, რათა გავიღოთ მოწყალება ყოველდღე...“ სწორედ მაშინ, ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმა თქვა, რომ მოწყალების გაღება არ ნიშნავს, მხოლოდ „ქონებრივ დახმარებას“, ადამიანს შეუძ-

ღია გაიღოს მოწყალება, მაშინაც კი, თუ ის არ არის მდიდარი, რაც განმარტა შემდეგი ფორმით: „როდესაც მეგზურობას გაუწევ ბრმა პიროვნებას, ეს არის მოწყალება. თუ მისთვის გასაგები ფორმით აუხსნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც არ ესმის და ვერ ხედავს, ესეც მოწყალებაა. მოწყალებაა, როდესაც აჩვენებ გზას ადამიანს, რომელიც საჭიროების საკითხში გთხოვს, რომ აჩვენო გზა და ძაღლონე არ დაიშურო მწუხარე ადამიანის დასახმარებლად, რომელიც ეძებს გამოსავალს. ასევე მოწყალებაა იმ ადამიანის მხარში ამოდგომა და მხარდაჭერა, რომელსაც უჭირს სიარული და იმ ადამიანის სურვილის გამოხატვა, რომელსაც უჭირს ლაპარაკი.“ (იბნ ჰანბელ, V, 168-169)





იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ღმერთმა, რომელმაც შექმნა ადამიანი, როგორც სამყაროს ყველაზე ძვირფასი არსება, განმარტავს, რომ მან შექმნა სიკვდილი და სიცოცხლე, „რათა გამოეცადეთ თქვენში რომელი უფრო უკეთესია საქმით.“ (მუღქი, 67/2) გამოცდა, ესაა სიტყვა, რომელშიც ფოკუსირდება ჩვენი დედამიწაზე მოვლინება და ჩვენი ქვეყნიდან წასვლა, როდესაც ამისი დრო დადგება... შიში, შიმშილი, ქონების დაკარგვა ან დაავადება; გამოცდის საკითხი ყველასთვის განსხვავებულია. მაგრამ არსებობს უცვლელი ჭეშმარიტება ყურანში: „ყველა სული იგემებს სიკვდილს . და ჩვენ სიავითა და სიკეთით გცდით, თუ როგორ მოიქცევით. და ჩვენთან იქნებით მობრუნებულნი!“ (ენბია, 21/35)



ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ გამოცდას გადიან მხოლოდ ისინი, ვინც არიან სიღარიბესა და გაჭირვებაში. სინამდვილეში ქონებით გამოცდაც ისეთივე მძიმეა, როგორც უქონლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი ზოგჯერ ხილულნი არიან, ზოგჯერ დამალულნი. ალლაჰი თავის მსახურებს გამოცდას უტარებს ზოგჯერ სარჩოს მიცემით, ზოგჯერ კი მიუცემლობით. განა შეიძლება მოტყუება იმაზე, როგორიც ჩანს და ალლაჰის სამართლიანობაში ეჭვის შეტანა, რომელიც ამბობს, რომ „ყველა გამოიცდება და არავინ იქნება უსამართლობის მსხვერპლი?“



ერთი შეხედვით, სარჩო ნიშნავს ტვირთს. ის ფაქტი, რომ მორწმუნე ადამიანი მოგებულება ნებისმიერ შემთხვევაში და ქონებასა და უქონლობაში გამოცდას გარდაქმნის უპირატესობად, ძვირფასი შუამავლის თქმით, განსაცვიფრებელი სიკეთეა: „საინტერესოა მორწმუნე ადამიანის მდგომარეობა! ყველა მდგომარეობა კარგია მისთვის. ეს პირობა მხოლოდ მორწმუნეს შეესაბამება. ის მაღლობელია, როცა მის თავს ხდება სასიხარულო ამბავი; ეს იქნება მისთვის კარგი. თუ მას თავს დაატყდება უბედურება, მოთმინებით ხვდება მასაც; ესეც იქნება მისთვის კარგი.“ (მუსლიმი, ზუჰდი და რეჟაიყი, 64)



ჩვენი ძვირფასი
შუამავალი ბრძანებს:
“აღლაჰი ხედავს
თქვენს გულებს და
ნამოქმედარს და არა
იმას, თუ როგორ
გამოიყურებით და რა
ქონება გაქვთ”

(მუსლიმი, ბირრ და სილა, 34)



შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი, ვისი გამოცდაც მძიმე ჩანს, რეალურად ისჯებიან? უბედურებისა და ცუდის მატებასთან ერთად შეიძლება მცირდებოდეს ალლაჰის სიყვარული? ჩვენი ძვირფასი შუამავალი ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მსგავსად ამბობს: „მუსლიმებმა უნდა შეხედონ ჩემს თავს დამტყდარ უბედურებებს და ძლიერნი იყვნენ თავიანთი უბედურებების წინაშე.“ (მუვათთა, ჯენაიზ, 14) შუამავლებს, რომლებიც არიან ყველაზე იშვიათი მსახურები შერჩეული ალლაჰის მიერ თავის ელჩებად, მოუწიათ ყველაზე მძიმე გამოცდების ჩაბარება. ამიტომ, გამოცდის სიმძიმესთან ერთად ჯილდოც უნდა იზრდებოდეს...

ისე, როგორც უამრავი გამოცდა, რომლებიც უნდა გადაილახოს ცხოვრებაში, იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ახლობელი, ეს არ არის სასჯელი, არამედ გამოცდაა. ჩვენ ვიცით, რომ ამ წარმავალ სამყაროში ჩვენი დღეები დათვლილი, ჩვენი სუნთქვა რიგითობითია. „და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)!“ (ზილზალი, 99/7), გამოცდის წარმატებით ჩაბარება, დაჯილდოვ-

ჩვენს ოჯახში სხოპრობს უფორმული შესაძლებლობების გეგმა პირი

დება უსასრულო ბედნიერებით. (ტაჰა, 20/75-76) საბოლოო ჯამში, ადამიანის მიერ აღლაპის თვალში ღირებულების მოპოვება შესაძლებელია არა მისი ფიზიკური თვისებებით, არამედ მისი გულის სიმდიდრით და მისი ნამოქმედარით.

ყოველი შესაძლებლობების
ქონე არ არის დაბნეულობა!

ადამიანებს, რომლებიც კარგავენ ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ემოციურ და სოციალურ შესაძლებლობებს, დაბადებიდან ან შემდგომ სხვადასხვა მიზეზების გამო, შეიძლება ჰქონდეთ სირთულე, მოახდინონ ადაპტირება სოციალურ ცხოვრებაში და დაიკმაყოფილონ ყოველდღიური მოთხოვნილებები. მაგრამ რამდენადაც არ უნდა სჭირდებოდეთ მხარდაჭერა, ეს ხელს არ უშლის მათ ჩაებლაუჭონ სიცოცხლეს. რადგანაც, იყო ადამიანი ნიშნავს, რომ იმსახურებ „ღირსეულ“ ცხოვრებას.

ყოველი ადამიანი ატარებს ინდივიდუალურ ღირებულებას და ეს ღირებულებ



ბა მოიპოვება დაბადებიდან, ადამიანად გაჩენით. ის ღირსეულია, აქვს უფლება თავისი საჭიროებების მოგვარებისა მისი ღირსების შესაბამისად. იყო ქალი ან მამაკაცი, ბავშვი ან ხანდაზმული, ავადმყოფი ან ჯანმრთელი, ისე, როგორც ეს ადამიანს არ სძენს ზედმეტ ღირებულებას, ვერც მის ღირსებას დააყენებს ჩრდილში. საუკუნეების წინ, ჩვენი ძვირფასი შუამავალი აღნიშნულის შესახებ ასე ამბობდა: „ჰეი ადამიანებო! კარგად დაიმახსოვრეთ, რომ თქვენი ღმერთი ერთია, თქვენი წინაპარი ერთია. არაბს, არაარაბის მიმართ, არაარაბს არაბის მიმართ, თეთრკანიანს ფერადკანიანის მიმართ, ფერადკანიანს თეთრკანიანის მიმართ არ გააჩნია უპირატესობა. უპირატესობა, მხოლოდ ალლაჰის წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერებაშია.“ (იბნ კანბელ, V. 411)

არ არსებობს დაბნელება ოჯახის არსებობისთვის!

ყოველისშემძლე ალლაჰმა ადამიანები გააჩინა სხვადასხვა შესაძლებლობების, განსხვავებული სქესის, ფერისა და ენის, აღჭურვა ისინი უამრავი სიკეთით; აქცია განსხვავებები სიმდიდრედ. რაოდენ დიდი მიღწევები, რამდენად სერიოზული

გამოცდილებები და შესაძლებლობები არსებობს იმით, რომ არ ვართ ერთმანეთის იდენტურნი! როდესაც ყველა ადამიანი, უზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე, იღებს განსხვავებულობას და ურიგდება მას, მათი იმედები რჩება ნორჩი და შესაძლებლობა ეძლევათ დაუკავშირდნენ სიცოცხლეს.

ადამიანი ცხოვრობს მის ბუნებაში არსებული გრძნობებით, მიუხედავად დროისა და ადგილისა და იმეორებს ქცევით ნიმუშებს თაობებიდან მოყოლებული. ფერადკანიანი ადამიანიც გრძნობს ტკივილს და თეთრკანიანიც. ფეხების მქონე ადამიანიც განიცდის სიხარულს და უფეხბოც... ბედნიერება სურს მხდველობის მქონესაც და არმქონესაც. ყველა ადამიანის საჭიროებაა ოჯახი, რომელშიც იზიარებენ სიხარულსა და მწუხარებას, გრძნობები ჰპოვებს სიმშვიდეს, მოიპოვებენ ნდობა და თანაგრძნობა. ვედრებით, „ღმერთო ჩვენო! გვიბოძე ჩვენ სიხარული ჩვენი ცოლ-შვილის სახით და დაგვადგინე ჩვენ ღვთისმოსიშთათვის წინამძღვრად!“ (ფურყანი, 25/74) ვინ იცის, რამდენი მილიარდი ადამიანი ემუდარება ღმერთს. რადგანაც, დაბრკოლებები და პრობლემები გადაილახება ოჯახის წევრების მხარდაჭერით.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან არმქონე დედების დედობრივი გრძნობა ერთი და იგივეა. ცრემლები იგივეა, სიბრაღული, თანაგრძნობა, სითბო იგივეა... დედა ესაჭიროება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვსაც და შეზღუდული შესაძლებლობების არმქონესაც... შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამის პასუხისმგებლობა არ არის ნაკლები იმ მამის პასუხისმგებლობაზე, რომელიც არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდაც სავსეა ენერჯით, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე. არც მოლოდინი სიცოცხლისგან, არც ოცნებები და იმედია ნაკლები ჯანმრთელ ახალგაზრდაზე. მოკლედ, არ არსებობს დაბრკოლება ოჯახის არსებობისთვის.



არ არსებობს დაბნეულობები
ბავშვობისგანსაცარებლად!

ყოველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მისი ცხოვრების ერთ ეტაპზე არის ბავშვი. ისევე როგორც ყველა ბავშვი, იბადება ძირითადი უფლებებით. უნდა გაიზარდოს მშობლების სიყვარულით, აღიზარდოს მზრუნველობით. რადგან, როგორც ყველა შვილი, ისიც ალლაჰის ამანათია მშობლებისთვის.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი განსაკუთრებულია; საჭიროებს სპეციალურ განათლებას და ყურადღებას. უნდა აქონდეს ბავშვური სიხარული, მონაწილეობა მიიღოს სოციალურ ცხოვრებაში და იპოვის საკუთარი თავის განვითარების შესაძლებლობა. შემჩნეული და მხარდაჭერილი უნდა იყოს მისი უნარები. თუ ცხოვრება თამაშია ბავშვებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ამ თამაშში არ უნდა აღმოჩნდნენ პრობლემის წინაშე.



ჩემს ოჯახში სწორი უფლები შესაძლებლობის მქონე პირი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ოჯახში უნდა აღიაროს ყველა თავისი მდგომარეობით, უნდა აგრძნობინოს, რომ ყოველთვის მის გვერდით არის, უნდა მოითმინოს მისი გაბრაზება, უნდა მისცეს შესაძლებლობა გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც შეუძლია მას. უნდა ასწავლოს ცხოვრების რეალობა მის შვილს და არ შეადაროს ის მის შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე თავის და-ძმებს და მეგობრებს. დაინახო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, როგორც ტვირთი, დიდი შეცდომაა. საქმე იმაშია, რომ ყოვლისშემძლე ალლაჰი უძღურების, ბავშვებისა და მოხუცების წყალობით სახლის სარჩოს გაამრავლებს და დაიცავს იმ ოჯახს უბედურებებისგან.

არ მიხეობს დაბრუნდება

ახალგაზრდობის ვისაცაჩებო!

ახალგაზრდობა ცხოვრების საუკეთესო პერიოდია. ძნელია დაუწესო ბარიერი სიცოცხლის გაზაფხულს, ახალგაზრდობის ოცნებებს. ფიზიკური და ფსიქიური



ბარიერების არსებობა ახალგაზრდის ენერჯიას არ გააქრობს. როგორც ყველა ახალგაზრდას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსაც სურს დაბრკოლების გადალახვა. შეიძლება გაუჭირდეს, გული გაუტყდეს და დამწუხრდეს, მაგრამ თუ მას ხელს ჩასჭიდებენ შეძლებს. თუ ის მხარდაჭერის გარეშე დარჩება, გაირიყება და გაჩუმდება, თავის თავში ჩაიკეტება. მეტიც, დაიწყებს ღვთაებრივი სამართლიანობის განკითხვას. ჩაიძირება კითხვებში, როგორიცაა, „რატომ მე?“, „რა იყო ჩემი დანაშაული?“, დაადანაშაულებს მშობლებს.

სწორად ვაცნობიერებთ, რომ სინამდვილეში გარშემომყოფთა მიერ თავიანთი გრძნობებითა და ქცევებით შექმნილი გადაულახავი კლდეები, ასეთი ახალგაზრდისთვის ყველაზე დიდი დაბრკოლებაა. როდესაც ის მარტოვდება სოციალურ ცხოვრებაში, როდესაც მიაინიშნებენ, რომ გამოუსადეგარია საქმეში, როდესაც ხედავს, რომ იჩენენ სიბრაღულს მის მიმართ, როდესაც მოწმე ხდება, რომ დაივიწყეს მისი არსებობა ლანდშაფტის მოწყობისას... სწორედ მაშინ გრძნობს დაბრკოლებას. მის ცხოვრებას უწოდებს ჯოჯოხეთს, ადამიანებს



ეგოისტებს, საზოგადოებას სასტიკს, ბრაზდება. რომელი ჩვენგანი მივიღებთ, რომ არაფრად ჩაგვაგდონ, მოგვქცნენ ისე, თითქოს ვერ გვამჩნევენ?


მაშინ, ღირს ყველა სახის ძალისხმევა იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა გადალახონ დაბრკოლებები თავიანთი ენერგიით, რომელიც არ ცნობს ბარიერებს, შეიტანონ თავიანთი წვლილი ოჯახში და საზოგადოებაში.

არ აინებობს დაბრკოლება

წამოძვებული ზრდასწრაფობისთვის!

თუ შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარეობა ბავშვობიდან მოყოლებული მეგობრობს მასთან, მაშინ ზრდასრულმა პიროვნებამ მეტწილად მიიღო სიტუაცია. მოახერხა ეთქვა ალლაჰის ნებაა, გამოცდის საჭიროებაა, ეცდება გაატაროს ცხოვრება საუკეთესო ფორმით და სწამს, რომ ვერაფერი გადაურჩება ბედისწერას.



A person is seen from the side, wearing a blue and white striped shirt, sitting in a green kayak on a calm lake. The water reflects the surrounding dense green forest. A small black bird is perched on a metal railing of the kayak. The scene is peaceful and scenic.

საკმარისია, საზოგადოებამ
აღიაროს, რომ
დაბრკოლებები შეიძლება
გადალახოს...ადამიანებმა
გააცნობიერონ რომ, არ
არის აუცილებელი ყველას
ჰქონდეს ერთი და იგივე
შესაძლებლობები, რათა
შეიგდნონ სიცოცხლის
სიღამაზეები...



ჩვენს ოჯახში სხოპრობს უფორული შესაძლებლობების მქონე პირი

აშიქ ვეისელის ხალხური სიმღერები, ჯემილ მერიჩის იდეები, ეეშრეფ არმანის ფერწერა, ციცერონის მიმართვა, სტივენ ჰოკინგის აღმოჩენები... გახსოვდეთ, რომ ყველა ამ სახელმა, ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა არა იმით, რომ ჰქონდათ ჯანსაღი გრძნობის ორგანოები ან სხეულის ნაწილები, არამედ გრძნობებისა და აზროვნების ძალით. იშვიათი წიგნები, გადამწყვეტი წესები, უბერებელი ხალხური სიმღერები, ბრწყინვალე ფერწერული ტილოები, აღმოჩენები და გამოგონებები, რომლებიც მათ კაცობრიობას უბოძეს განა არ არის საკმარისი იმის ასახსნელად, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არის დაბრკოლება?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის
ოჯახის ცხოვრებასეული გამოცდილება

ოჯახებში, რომლებშიც ცხოვრობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი, შესაძლოა იყოს შიში, გაბრაზება, უმწეობა, უიმედობა, დანაშაულის გრძნობა, მობეზრება. მშობლები, რომლებიც აღმოჩნდნენ უარყოფითი აზრების მორევში, პირველ ეტაპზე იწყებენ პასუხე-



ბის ძიებას კითხვებზე, როგორიცაა რატომ მე? რა იყო ჩემი ცოდვა? ახლა რა გავაკეთო? როგორ გავუმკლავდე ამას? მშობლები, რომლებსაც შეეზღუდათ ცხოვრება მეტ-ნაკლებად შეზღუდული შესაძლებლობის მიხედვით, როგორც დაზარალებულნი მატერიალური კუთხით, სჭირდებათ მხარდაჭერა სულიერების კუთხითაც. ოჯახი, რომელიც განიცდის ისეთ პროცესებს, როგორიცაა ბავშვზე მიჯაჭვულობა და სირთულე მის აღზრდაში, საყვარელ გარემოზე მოწყვეტა, სოციალური ცხოვრებისგან დაშორება, გადის სხვადასხვა ეტაპებს.

მაშინ, როცა პირველ ეტაპზე ჭარბობს შოკი, უარყოფა და მწუხარება, დროთა განმავლობაში მათ ადგილს იჭერს დანაშაულის გრძნობა, ბრაზი და სირცხვილი. მაშინ კი, როდესაც გადაილახება ისეთი მდგომარეობები, როგორცაა არარეალური მიზნების დასახვა და საწინააღმდეგო რეაქციები, იწყება მიღების, ჰარმონიის, ცხოვრების რეორგანიზაციისა და მონდომების ეტაპები. ყველა სახის კონსულტაციისა და თერაპიის მომსახურება, რომელიც უნდა გაეწიოს ოჯახს ამ პროცესებში უკიდურესად მნიშვნელოვანია. ასევე შეუცვლელად ძვირფასია არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ მეუღლეების, მეგობრების, ნათესავებისა და მეზობლების მხარდაჭერაც.

მე მაქვს ჩემი უფლებები

მე ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. მე ვარ ადამიანი. დედამიწაზე მე ყველაზე ღირსეული არსება ვარ. მე მაქვს ამ ღირსების შესაბამისი ჩემი უფლებები. მე მაქვს უსაზღვრო რწმენა, რომ ჩემი უფლებები არ დაირღვევა, მა-



შინაც კი, თუ არ შემწევს ძალა დავიცვა ეს უფლებები. არის თუ არა უპირველესად რელიგიური, კეთილსინდისიერი და ადამიანური პასუხისმგებლობა, რომ იცოდეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ და პატივი სცეთ მის უფლებებს, მიუხედავად იმისა, თუ რა ასაკის იქნება? ახლა შეგახსენებთჩემს უფლებებს, რათა დამეხმაროთ და აღმოვფხვრათ დაბრკოლებები ერთობლივად.

მე მაქვს სიცოცხლისა და აღიარების უფლება.

ერთ-ერთი უღამაზესი მოვლენა, რომელსაც შეიძლება ადამიანი განიცდიდეს სიცოცხლეში, უდავოა, რომ არის ბავშვის ყოლა. თუმცა, როდესაც მშობლების გადასახედიდან ვფიქრობთ, ამდენადვე დიდი გამოცდაა, რომ ჩვენი შვილი იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. მშობლები, რომლებიც ორსულობის დროს გაიგებენ, რომ მათი შვილი დაიბადება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, განიცდიან სერიოზულ ტრავმას. მათი ეს რყევა და მწუხარება უდავოდ არის მათი თანაგრძნობა და გულმოწყალება,

რომელსაც განიცდიან თავიანთი შვილის მიმართ. მაგრამ ეს ემოციები სწორად უნდა იმართოს, მათი ენერჯია უნდა მიიმართოს პრობლემის მოგვარებაზე და არა სასოწარკვეთილებაზე, უნდა იყვნენ მომთმენნი და მტკიცე.

ამ ეტაპზე, აუცილებლად უნდა ავლნიშნოთ, რომ თუ დედის სიცოცხლისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს, არავის აქვს უფლება, მათ შორის მშობლებს, მოკლას ბავშვი, რომელიც ცნობილია, რომ უნდა

ჩვენი ძვირფასი
შუამავალი ამბობს,
რომ

“ყოველის შემძლე ალლაჰი
ბრძანებს: როდესაც მე ორ
შეყვარებულს (მათი თვალების
ადების სახით) და ჩემს
მსახურს გამოცდას ვუტარებ,
თუ მოითმენს, მათ ნაცვლად
სამოთხეს მივცემ.“

(ბუჰარი, მერდა, 7)



დაიბადოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. სულების მფლობელი ალლაჰია. მხოლოდ მას აქვს უფლება, გააჩინოს მისთვის სასურველი ადამიანი, მისთვის სასურველი თვისებებით, მისთვის საყვარელ დროსა და ადგილას. განა ასეთი დამოკიდებულება არ გულისხმობს ამანათისთვის ზიანის მიყენებას, გამოცდის მიუღებლობის დონეზე?

რა თქმა უნდა, ადვილი არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთან ცხოვრება. თუმცა, მაშინაც კი, თუ ის წააწყდება შემაწუხებელ მანერებს, მშობლები, რომლებიც გააცნობენ თავიანთ შვილს გარშემომყოფთ, უპასუხებენ კითხვებს მის შესახებ, არ ჩაკეტავენ მას სახლში და ასეირნებენ, მოიგებენ, როგორც ბავშვის გულს, ასევე თვითონაც კარგად იგრძნობენ თავს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯანმრთელი ბავშვი არ არის სიამაყის წყარო და არც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვია სირცხვილის წყარო.


**მაქვს უფლება,
დაკმაყოფილდეს ჩემი
ჯანმრთელობის საჭიროებები.**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს სჭირდება გრძელვადიანი სამედიცინო მომსახურება. ფიზიკური და ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პაციენტების მკურნალობა და მოვლა მოითხოვს სპეციალობას. მისმა ოჯახმა უნდა ისწავლოს, თუ როგორ უნდა დაეხმაროს მას იყოს ჯანმრთელი, მიუხედავად მისი შეზღუდული შესაძლებლობებისა, ასევე უზრუნველყოს შესაბამისი დაწესებულებებისა და სპეციალისტების მიერ მისი მკურნალობა.

მაქვს უფლება მივიღო განათლება.

ანდაზა ამბობს “ადამიანის ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარი თავის დაპყრობაა.” აუცილებლად არსებობს რაღაცები, რაც ყველა ადამიანს შეუძლია გააკეთოს. მათი პოვნა კი შესაძლებელია, მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების გააზრებითა და სწავლების გზის განვითარებით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ერთადერთი პრობლემა არ



არის ჯანმრთელობა. ერთი მხრივ, ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო სერვისების მიღებისას, მას ასევე სჭირდება საკუთარი თავის ცოდნა და სოციალიზაცია. როგორც ყველას, მასაც აქვს უფლება მიიღოს განათლება, რათა მოახდინოს საზოგადოებასთან ადაპტაცია, განახორციელოს საკუთარი თავის რეალიზაცია და სააკუთარი უნარი წარადგინოს კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მეტიც, შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ჩაუტარდეს ტრენინგები სირთულეების დასაძლევად, რაც მათ ყოველდღიურ

ცხოვრებაში შეიძლება ჰქონდეთ. ეს ტრენინგები, რომლებიც ივსება მონდომებითა და მოთმინებით, ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას.

კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ცნობილ სახელებს აქ: შუამავლის მიმდევარი მეგობარი მეცნიერი იბნ აბბასი, რომელიც იყო ჩვენი შუამავლის ბიძაშვილი და ცნობილი იყო მეტსახელით „ყურანის თარჯიმანი“, მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, როგორც მხედველობის მხრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კომპოზიტორი, რომელსაც ტაშს უკრავდნენ საუკუნეები, სიცოცხლის ბოლო 26 წელი გაატარა როგორც სმენის მხრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონემ. დღეს, ნიკ ვუჯისკი, რომელიც ცნობილია თავისი პირადი განვითარებისა და სამოტივაციო სემინარებით, მთელს მსოფლიოში, დაიბადა ხელებისა და ფეხების გარეშე.

მაქვს დასაქმების უფლება.

დღეს ბევრ ქვეყანაში, ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა



ჯგუფი, მათ შორის გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, დასაქმებულები არიან ღირსეულ სამუშაოებზე. ფსიქიურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, რომელთათვისაც შექმნილია სპეციალური სახელოსნოები, შეუძლიათ მოთმინებითა და ზრუნვით შეასრულონ ისეთ სამუშაოები, რომლებსაც ვერ უძლებენ ის ადამიანებიც, რომლებიც არ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. ვინაიდან, გონებრივი შესაძლებლობების ნაკლებობა, არ ნიშნავს, რომ არასაკმარისია კუნთების ძალაც, ფაქტია, რომ მათ სჭირდებათ დასაქმება, რათა გახდნენ სასარგებლო ადამიანები არა, როგორც მომხმარებელი, არამედ მწარმოებელი, არა როგორც საჭიროების მქონე, არამედ ადამიანების საჭიროებების დამკმაყოფილებელი. ადგილები კი, სადაც შეუძლიათ იმუშაონ სმენის, მხედველობითი და ორთოპედიული თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა, გაცილებით მეტია.

ასევე არსებობს შთამბეჭდავი მაგალითები წყალობის შუამავლის ცხოვრებაშიც, რაც უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მისი მიმ-

დედარი მეგობრების დასაქმებას. მაგალითად, ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმა, თავისი ახალგაზრდა მიმდევარი მეგობარი მუაზ ბ. ჯებელი, რომელიც ერთი ფეხით იყო ხეიბარი, გადასახადების მოხელედ და მოსამართლედ გაგზავნა იემენში. (ბუჰარი, ჯიჰად, 164) ერთ-ერთი პირველი მუსლიმი, რომელიც მედინაში გადავიდა, მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მეგობარი აბდულაჰ ბ. უმში მექთუმი, დანიშნა ყურანის მასწავლებლად, ხოლო მომდევნო წლებში პატივი მიაგო მას შუამავლის მესჯიდის მუაზინობით, როდესაც მიდიოდა მედინას გარეთ ზოგიერთ ექსპედიციებში, თავის მოადგილედ მას ტოვებდა.

მე მაქვს ღვთისმსახურების უფლება.

ყველა მსახურის მოვალეობაა, მადლობა გადაუხადოს ალლაჰს იმ სარჩობისთვის, რომლებიც უბოძა მას, წარდგეს მის წინაშე, ადაპყროს ხელები და ადავლინოს ღოცვა, მიუხედავად იმისა არის თუ არა ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. წაკითხული ეზნის გაგება, ხუტბას გაგება, ჯგუფურ ნამა-



ზის ლოცვაში მონაწილეობა, ყურანის წაკითხვა, ალლაჰის შუამავლის სიტყვების და ცხოვრების შესწავლა, ყველა მუსლიმის სურვილია. თუ სმენადაქვეითებულს არ შეუძლია მოისმინოს, მისთვის გასაგებად არსებობს ნიშნები. მაშინაც, თუ მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვერ დაინახავს, მას გააჩნია შეხებით აღქმის შესაძლებლობა. საუბრის მხრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დარდის მოსაყოლად, ლაპარაკის გარდა არსებობს უამრავი გზა. აქედან გამომდინარე, არანაირ დაბრკოლებას არ შეუძლია ხელი შეუშალოს რომ, როგორც მსახურმა შეასრულოს ღვთისმსახურება.



გარდა გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები არ თავისუფლდებიან ღვთისმსახურების ვალდებულებისგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული შეზღუდული შესაძლებლობების არსებობა, არ წარმოადგენს საბაბს არ შეასრულო ღვთისმსახურებები, როგორცაა ნამაზის ღოცვა, მარხვა, ზეჯათი, ჰაჯი (მექას მოლოცვა), სადაყა, ყურბანი). მაგრამ ყველა ვალდებულია საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში. შესაბამისად, ყურანში მოცემულია ბრძანება: “აღლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს იმაზე მეტს, რაც მას ძალუძს.“ (ბაყარა, 2/286) აქედან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მისი ოჯახი უნდა იყვნენ გაცნობიერებულნი ამ საკითხის შესახებ.“

ჩვენი ძვირფასი შუამავლის მეგობართაგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იმრან ბ. ჰუსეინის მიერ ღვთისმსახურების გაგრძელება, მიუხედავად მისი ავადმყოფობისა მრავალი წლის განმავლობაში, აღნიშნული საკითხის მაგალითია.



როდესაც ჰკითხეს, თუ როგორ უნდა შეასრულოს ნამაზის ღოცვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი, ჩვენმა შუამავალმა ასე უპასუხა: „(თუ შეგიძლია) ფეხზე მდგარმა ილოცე. თუ ამის ძალა არ შეგწევს, დამჯდარმა ილოცე. თუ არც ამისი გაკეთება შეგიძლია ილოცე გვერდზე დაწოლილ მდგომარეობაში.“ (ბუჰარი, თაქსირუს საღათ, 19)

რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელსაც არ აქვს ფეხი, ვერ შეძლებს შეასრულოს ბრძანება, ფეხების დაბანის შესახებ. თუმცა, როდესაც მისი ღვთისმსახურების საკითხში მოიქცევა სიზუსტით და გააკეთებს ყველაფერს საუკეთესოდ, რაც შეუძლია „ქუთლუ ნების“ (შუამავლის დაბადების კვირეული) ხარებას მიიღებს: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებსაც საპატიო მიზეზების გამო არ შეუძლიათ ყველა დეტალის შესრულება, ასევე მიიღებენ სრულ გასამრჯელოს, როდესაც ისინი შეძლებისდაგვარად შეასრულებენ სამუშაოს. მოკლედ, მადლს დაბრკოლებები ვერ შეაფერხებს.

ჩის უნდა მიეჩქეს ყურადღება შეხლულული
შესაძლებლობის მქონე პირების დომუხაყაჟა?

ნუ დაგაეიწყდებათ, რომ არიან გულგატეხილები.

ბუნებრივია, რომ შეზღუდულმა შესაძლებლობებმა ადამიანი გახადოს უფრო მგრძობიარე და გულგატეხილი. განსაკუთრებით იმ შემთხვევების შედეგად, რაც მოხდება მტკივნეული მოვლენების შემდეგ, როგორცაა საგზაო მოძრაობა და სამუშაო ავარიები, წარმოშობილი შეზღუდული შესაძლებლობების მიზეზით, როდესაც ადამიანს არ შეუძლია მისი საჭიროებების დაკმაყოფილება, უფრო ინტენსიურად განიცდის ისეთ გრძნობებს, როგორცაა წყენა, დაუცველობა და სირცხვილი. ამ ემოციებმა შესაძლოა ის გახადოს გაღიზიანებული და შეშფოთებული. შეზღუდული შესაძლებლობების ემოციებით გამოწვეული დაძაბულობის დასაძლევად საჭიროებს ყურადღებას და გაგებით მოპყრობას. ეს არ უნდა იყოს გადაჭარბებული და მოხვენებითი ყურადღება, არამედ გულწ-



რფელი და მარტივისიახლოვე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი, რომელსაც შეუძლია მიიღოს სულიერი მხარდაჭერა თავისი გარემოდან, უფრო მოკლე დროში მიიღებს რეალობას და შეძლებს უფრო თავისუფლად გაუღიმოს სიცოცხლეს.

გახადოთ თანამოსაუბრე.

ყოველისშემძლე ალლაჰმა საუკუნეების წინ ასწავლა ჩვენს შუამავალს, თურას ნიშნავს ის, რომ თანამოსაუბრედ გაიხადო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი. ერთ დღეს, როდესაც ჩვენი ძვირფასი შუამავალი უხსნიდა ისლამს მექაელ ურწმუნოების მოწინავეებს, უსინათლო მიმდევარრმა მეგობარმა აბდულლაჰ ბ. მექთუმმა სთხოვა, რომ მისულიყო მასთან და მიეწოდებინა ინფორმაცია, რასაც მან არ მიაქცია ყურადღება, რასთან დაკავშირებითაც, დაუყოვნებლივ გარდმოვევლინა აიათები, რომლებითაც მკაცრად იქნა გაფრთხილებული: „მოიქუფრა და სახე შეაქცია, რადგან ბრმა მოვიდა მასთან. უნდა რამ გამცნოს შენ: „ეგებ განწმენდა სურს მას, ან მიიღოს შეგონება და უშველოს შეგონებამ მას?! მაგრამ ვისაც შეგონება არ ესაჭიროება, თუმცაღა შენ მიიღტვი

მისკენ, და არაა ვალი შენი, განიწმინდება თუ არ იგი! მაგრამ ვინც მოგეახლოს წადილით და შიშობს ღმერთისგან იგი, მაგრამ შენ არ აქცევ ყურადღებას მას! არა! უეჭველად, იგია შეგონება! და ვინც ინებებს, შეიგონებს იგი!“ (ღებესე, 80/1-12)

ჩვენი საყვარელი შუამავალი ამ მოვლენის შემდეგ ყოველი შეხვედრისას, როდესაც დაინახავდა აბდულლაჰს ამბობდა „სალამი, ვასთვისაც უფალმა გამაფრთხილა! და ასეთნაირად მოიგო მისი გული. რა თქმა უნდა, ასეთი გაფრთხილება, ხმოვანდება დღესაც. რადგანაც გზა, აგრძნობინო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, რომ არის ძვირფასი, გადის მასთან საუბარზე.

ამ კონტექსტში, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უნდა გადავიხაროთ მთელი სხეულით მისკენ. მოვიქცეთ მისი ხასიათის შესაბამისად; ყურადღება მივაქცოთ გამონათქვამებს, რომლებსაც ვიყენებთ; ვუპასუხოთ მის კითხვებს გამოტოვების გარეშე; მაშინაც კი, თუ უჭირს საუბარი, მოვუსმინოთ ყურადღებით. თუ არსებობს სიტყვა ან სიტუაცია, რომელსაც ვერ ვიგებთ, იმის ნაცვლად, რომ მოვიქცეთ ისე,



თითქოს გავიგეთ, ვთხოვოთ მას გაიმეოროს. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიყოთ მომთმენნი და ტოლერანტული.

კატეგორიულად არ შეესაბამება ისლამის ზნეობას ადამიანის ფიზიკური თვისებების დაცინვა, მის შესახებ ჭორაობა და მის ზურგსუკან სიცილი, მის წინაშე ჩურჩული ან ისეთი სახელების დარქმევა და დაძახება, რომელბიც არ მოსწონს. ჩვენი უფლის ბრძანება ამ თვალსაზრისით საკმაოდ ნათელია: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთმანეთს და არ მოუხმოთ ერთმანეთს შეურაცხყოფელი მეტსახელებით. რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ ცუდი თვისებაა სისაძაგელე. ხოლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი.“ (ჰუჯურათი, 49/11)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დაჯავრება და დაცინვა კი, ასევე აკრძალულია ჩვენს რელიგიაში; ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმა თქვა: “მე არ მიყვარს ვინმეს დაცინვა, რაც არ უნდა სანაცვლოდ ბევრი რამ მომეცეს.“ (თირმიზი,



ჩვენს ოჯახში სხოპროს ვეზღუდული შესაძლებლობების მეორე პირი

სიფათულ ყიამე, 51) რადგანაც ის, წყალობის ელჩის თქმით: “მუსლიმის მიერ თავისი ძმის დამცირება, ეყოფა ადამიანს ბოროტებად” (მუსლიმი, ბირრ, 32)

არსებობს უამრავი ადამიანი, რომელსაც ეძახიან „კოჭლს“ რადგან მას არ შეუძლია სიარული, ეძახიან „ენაბლუს“, რადგან მას არ შეუძლია ლაპარაკი, ეძახიან „ბრმას“, რადგან ის ვერ ხედავს, ამბობენ “გიჟია”, ამცირებენ და ზიანს აყენებენ. სინამდვილეში, ვინ იძლევა გარანტიას, რომ ერთ დღეს, თვითონ არ აღმოჩნდება ანალოგიურ სიტუაციაში?

პატივიცე თმისგადაწყვეტილებებს.

ჩვენ ყველას გვინდა რომ, პატივი გვცენდა ვიხილოთ სავსე თვალები. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მხარდაჭერა იმ საქმეებში, რომელთა გაკეთებაც შეუძლია და გრძნობა, რომ მის ნერვებს პატივით ეპყრობიან. მოდით შევთავაზოთ დახმარების გაწევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მაგრამ პატივი მივაგოთ მის გადაწყვეტილებას, როდესაც მას არ სურს დახმარება ან არ უშვებს, რომ დახმარება გაუწიონ მას.

ჩვენი
შუამავალი
ბრძანებს, რომ არ
გაიციინო შენი ძმის
მწუხარებაზე, შემდეგ,
ღმერთი მას შეიბრალებს
და შენ აღმოჩნდები იმ
მწუხარებაში.“

(თირმიზი, ყიამე, 54)



მხარი დაუჭიროთ მათ ნიჭსდა დავაჯილდოვოთ ისინი მიღწევების დროს.

ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ვერ ასრულებენ სამუშაოებს, არ ნიშნავს, რომ მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. როგორც უკვე ვთქვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც მიეცა საკუთარი ნიჭის აღმოჩენისა და საკუთარი თავის განვითარების შესაძლებლობა, შეუძლია წარმატებების მიღწევა, რომელიც გააბედნიერებს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც. ასე რომ, ფოკუსირება მოვახდინოთ იმაზე, რომ წარმატებას მიღწევა და არა იმაზე თუ რამდენჯერ სცადა. შევავლიანოთ ის ყოველ ჯერზე და დავაჯილდოვოთ ყველაზე მცირე წარმატების დროსაც.

მივცეთ მათსოციალიზაციის შესაძლებლობა.

უსამართლობაა, ადამიანს, რომელმაც დაკარგა კონკრეტული უნარი, მოექცე



ისე, თითქოს მან დაკარგა მთელი თავისი არსებობა, ჩაითვალოს არაკვალიფიციურ პიროვნებად, გაანაწყენო სოციალურ ცხოვრებაზე და გამოკეცო სახლში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები, რომლებიც განიცდიან გულგატეხილობას, უჭირთ გადალახონ უარყოფითი აზრი და საკუთარ თავს გრძნობენ, როგორც უხილავი კედლის მიღმა გაწეულს. ეს სოციალური ზეწოლა, რასაკვირველია, არ არის გააზრებული დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ზიანის მისაყენებლად. მაგრამ ხშირად სიბრაღულით სავსე ყურადღებიანი გამოხედვაც კი, საკმარისად აზიანებს.

ამ შემთხვევაში, საუკეთესოა მოვიქცეთ ბუნებრივად და ვაჩვენოთ, რომ არ ვცნობთ დაბრკოლებას. მართლაც, ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმა აბდულლაჰ ბ. უმ-ში მექთუმს, რომელიც იყო უსინათლო და რომელმაც სთხოვა მისთვის მიეცა ნება, რათა ღოცვა სახლში შეესრულებინა, მას უთხრა, რომ ის უნდა მისულიყო მეჩეთში, რადგანაც ეზნის ხმა ესმოდა, რითაც უზრუნველყო, რომ ის არ დარჩენილიყო საზოგადოებისგან შორს. (იბნ ჰანბელ, III, 423)

გავამარტივოთ, ნუგავართულებთ.

გამოვიყენოთ ტექნოლოგიური შესაძლებლობები და ძაღღონე არ დავიშუროთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობა დაუცველი ადამიანებისა, როგორებიც არიან პაციენტები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მოსუცები და ბავშვები. გვახსოვდეს, რომ ინვალიდის ეტლს ან სმენის აპარატს შეუძლია შეცვალოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ცხოვრება. გავაცნობიეროთ, რამდენად მნიშვნელოვანია ლიფტი, ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი წიგნი ან პატარა ტროტუარის მისადგომი. ალლაჰის შუამავლის სიტყვები; „გავამარტივოთ, ნუ გავართულებთ, ახარეთ, ნუ შეაძულებთ!“ (ბუკარი, ილიმ, 11) ვაქცოთ ჩვენი ცხოვრების პრინციპად და ვიყოთ ლიდერნი მომსახურებაში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გაუმარტივებს და შეაყვარებს ცხოვრებას.

ადამიანი, რომელიც ფიქრობს არა მარტო საკუთარ, არამედ ყველას კომფორტ-



ზე, რომლებთანაც იზიარებს იმავე ცას, იმავე წყალს, იმავე ქალაქს, აღმოაჩენს საკუთარ თავს ჩვენი საყვარელი შუამავლის სიტყვებში: „დაინახავ, რომ მორწმუნეები ერთმანეთის მიმართ თანაგრძობას, სიყვარულსა და გულმოწყალებას ავლენენ. სწორედ ისე, როგორც სხეულის ერთი ორგანოს დაავადებისას, დანარჩენი ორგანოების მიერ მისთვის ბრძოლა, უძილობითა და სიცხიანობით...“ (ბუჰარი, ეღებ, 27)

მოვინახულოთ

მექას გათავისუფლების დღეს, კზ. ებუ ბექირმა მამამისი, რომელიც იყო ხანდაზმული და ამავე დროს უსინათლო, მოიკიდა ზურგზე და მოიყვანა ძვირფას შუამავალთან. იმ დღეს ტრიუმფალურ მეთაურად ქალაქში მისულმა ძვირფასმა შუამავალმა კი უნიკალური თავაზიანობით უთხრა „დაგეტოვებინა ის სახლში და ჩვენ მივსულიყავით მასთან.“ და ასე გამოხატა პატივისცემა მოხუცი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის მიმართ. (იბნ ჰანბელ, III, 160)

როდესაც ავადმყოფობისა და შეზღუდული შესაძლებლობების გამო ვერ





ვინძრევით ადგილიდან, გვინდა, რომ ჩვენი საყვარელი ადამიანები მოვიდნენ ჩვენთან, მოგვიკითხონ, მომენტალურად გაჩერდნენ ცხოვრების რიტმში და გაგვიხსენონ. მაშინ მოდით, მოვუსმინოთ ალლაჰის ელჩს, რომელიც ამბობს: „მშვიდრები დააპურეთ, ავადმყოფები მოინახულეთ.“ (ბუჰარი, მერდა, 4) განვაახლოთ ჩვენი რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ სიკეთე არ დაიკარგება და არ შევწყვიტოთ მონახულებები, რომლებიც მორალის წყაროა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის, ისე მისი ოჯახისთვის.

დავეხმართ მათ მკურნალობაში.

ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობების ქონა, შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი. დაავადების სამკურნალოდ, რომელთა განკურნებაც შესაძლებელია, საჭიროა წამლის ძიება და ყველაფრის გაკეთება, რაც საჭიროა მკურნალობისთვის. მკურნალობაზე უარის თქმა, იმის თქმა, რომ ღვთის ნებაა და შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარეობის ან დაავადების სამკურნალოდ

გამოსავლის ძიების განუხორციელებლობა, არ არის მოთმინება და მინდობა. ჩვენი ძვირფასი შეუამავლის ნათქვამის მიხედვით, “ჰეი თქვენ! ალლაჰის მსახურნო, იმკურნალეთ. რადგანაც, ალლაჰმა არ შექმნა რაიმე დაავადება, რომელთან ერთადაც არ შექმნა მისი წამალი.“ (ეზუ დაჟუდ, მედიცინა, 1), არასოდეს უნდა დაგკარგოთ განკურნების იმედი.

აღმოგუჩინოთ სულიერი მხარდაჭერა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთა მკურნალობაც არ ჩანს შესაძლებელი, აუცილებელია როგორც ფიზიკური თერაპიის, ისე ფსიქოლოგიური დახმარების მომსახურებებით სარგებლობა. აღნიშნულ საკითხში საჭიროა, რომ ოჯახების პარალელურად საახლობლო გარემოც იყოს ინფორმირებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, არ უნდა დარჩეს საკონსულტაციო და ხელმძღვანელობის მომსახურების გარეშე, რომელსაც სწევენ ოფიციალური ან კერძო დაწესებულებები.



muslim



ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სა-
მედიცინო დახმარების გარდა, შეზღუ-
დული შესაძლებლობების მქონე პირის
ერთ-ერთი აუცილებელი ღირებულებ-
ა სულიერი მხარდაჭერაა. „და როცა
ავად ვხვდები, სწორედ იგია, რომელიც
გამომაკეთებს!“ (შურა, 26/80) ამ რწმენის
მქონე მსახურს შეიძლება ითქვას, რომ
ამ რწმენის განმამტკიცებელი წინადა-
დებებით, გადალახული აქვს ყველაზე
რთული ასპექტი დაბრკოლებისა. ვედ-
რებით კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოს
აღლაჰზე მინდობის, მოთმინების, სიმტ-
კიცის, ნდობისა და მადლიერების ფასი.

მოდით შევავსოთ მოთმინება მეგობ-
ბარს, ნათესავს ან მეზობელს, რომლებიც
აღმოჩნდნენ შეზღუდული შესაძლებლო-
ბების მდგომარეობაში, აუფხსნათ, რომ
ჩვენს პრობლემურ მომენტებში, აღლაჰი
ჩვენ არ დაგვივიწყებს, ყოველთვის ჩვენ-
თან არის და მოთმინების გასამრჯელოს
გადაგვიხდის. „მაშინაც კი, თუ სხეულში
ჩარტობილი იქნება ეკალი, თავს დამტ-
ყდარი ყველა უბედურების გამო მუს-
ლიმს შეცდომები ეპატიება.“ (მუსლიმი, ბირრ
და სილა, 49), შუამავლის ნახარებით მის
გულს წყალი მივაპკუროთ. გავახსენოთ,
როგორ განიკურნა ჰ. ეიუბი ღვთიური



წყალობით, მოთმინებისა და ვედრების შედეგად, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა დაავადებებთან ერთად, რომლებზეც ამბობდნენ, რომ იყო უკურნებელი. (ენბია, 21/83-84)

გვჯეროდეს, რომ ლოცვის ძალა ადამიანს გახდის ძლიერს და მონდობულს, დააშორებს შიშს და შფოთვას, ხდის ცხოვრებას გაძლებადს. ერთხელ გაახდეთ მოწმენი, რომ ლოცვით ჩვენი სული უფრო სპეციაკი ხდება, ჩვენი მორალი იზრდება, ჩვენი იმედი აღორძინდება. მოდით ვილოცოთ ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეგობრებისთვის, ვედრებით, რომელიც იღვრება ჩვენი ძვირფასი შუამავლის ენიდან: „ჩემო, უფალო ყველა ხალხების! განარიდე ამ ავადმყოფს ტანჯვა და განკურნე. მკურნალი მხოლოდ შენ ხარ. არ არსებობს განკურნება, გარდა შენი განკურნებისა. მიეცი ამ ავადმყოფს ისეთი წამალი, რომ არ დარჩეს ავადმყოფობის კვალი.“ (ბუკარი, მერდა, 38-40)